საიდ. N73784 /03

IR 1172234

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №165-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ს. ებრალიძე, ლ. ახობაძის მდივნობით, განიხილა კომპანიის ,,ტაკედა ფარმასიუტიკალ კომპანი ლიმიტედ" (Takeda Pharmaceutical Company Limited) (მის.:1-1 დოშომაჩი 4-ჩოუმ, ჩუო-კუ, ოსაკა 540-8645, იაპონია; 1-1, Doshomachi 4-chome, Chuo-ku, Osaka-shi Osaka 540-8645) N165-03/14 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 4 აგვისტოს N2196/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნისთვის ,,LANCEPACT"

(საიდ. N73784/03 IR1172234) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 4 აგვისტოს №2196/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიტყვიერი ნიშანი „LANCEPACT" ჟღერადობით ჰგავს მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „PUBLICHNE AKTSIONERNE TOVARYSTVO "KYIVMEDPREPARAT" სახელზე მე-5 კლასის საქონლისათვის რეგისტრირებულ და საქართველოზე გავრცელებულ ნიშანს „ЛАНЦЕРОЛ" (რეგ. N810246, რეგ. და გავრცელების თარიღი 20/08/2003წ.). მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით, დაპირისპირებული ნიშანი, კი რუსული შრიფტით (კირილიცაზე), მისი საწყისი ნაწილი - ,,LANCE“, ჟღერადობით იდენტურია დაპირისპირებული ნიშნის საწყის ნაწილის ,,ЛАНЦЕ“ და ორივე შედგება ხუთი ასოსგან, შემდეგი ლათინური ასო ,,P“ (პ) და რუსული ასო ,,P“ (რ) შესახედად იდენტურია. ზემოაღნიშნული ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, ვინაიდან სასაქონლო ნიშნების შედარების დროს ძირითადი აქცენტი ენიჭება მის დასაწყისს, როგორც მეტად დასამახსოვრებელ ნაწილს. აქედან გამომდინარე, სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე განცხადებული საქონლის მიმართ.

აპელანტის წარმომადგენელი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის აღრევის საფრთხე არ

არსებობს, რადგანაც ისინი საკმარისად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნიშნების შედარება ხდება სემანტიკური, ვიზუალური და ფონეტიკური თვალსაზრისით.

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სემანტიკური კუთხით შედარებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ ორივე ნიშანი ფანტაზიურია და მათ არ აქვთ შინაარსობრივი დატვირთვა.

რაც შეეხება სასაქონლო ნიშნებს შორის არსებულ ფონეტიკურ განსხვავებას, აპელანტის აზრით, განსხვავება აშკარაა. დაპისპირებულ სასაქონლო ნიშნებს იდენტური აქვთ მხოლოდ პირველი სამი ასო, მაშინ როცა სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი შედგება ცხრა ასოსგან და ქართულად გამოითქმის, როგორც ,,ლანსეპაქტი", დაპირისპირებული ნიშანი კი - რვა ასოსგან და ქართულად გამოითქმის, როგორც ,,ლანცეროლი". გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ სამედიცინო დანიშნულების პრეპარატების შედარებისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთი ასოს, ან ბგერის სხვაობასაც კი.

აპელანტი ასევე მიუთითებს, რომ ასოთა კომბინაცია ,,ლან" (LAN) თავსართით საქართველოში არა ერთი სასაქონლო ნიშანია რეგისტრირებული, (როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ხაზით).

აპელანტი განმარტავს ასევე, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებულ ვიზუალურ განსხვავებას და აღნიშნავს, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი შესრულებულია ლათინური შრიფტით, დაპირისპირებული კი რეგისტრირებულია კირილიცაზე.

გარდა ამისა, აპელანტის აზრით, განსხვავებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფარმაცევტული პრეპარატების შემთხვევაში, რადგან ამ ნიშნებით მონიშნული პრეპარატები სხვადასხვა დანიშნულებისაა და შესაბამისად, მომხმარებლის სხვადასხვა წრისთვის არის გათვალისწინებული. კერძოდ, ,,LANCEPACT" არის დიაბეტური დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პრეპარატი, მაშინ როდესაც

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი გამოიყენება წყლულის სამკურნალო საშუალებათა ჯგუფისთვის.

აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე ჯერ-ჯერობით დაშვებული არ არის არც სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი და არც დაპირისპირებული. სამაგიეროდ, მრავლად არის ,,ლან" თავსართით დაწყებული პრეპარატები, რომელთაგან 17 პრეპარატი არის ,,ლანსოპრაზოლი" - წყლულის სამკურნალო საშუალებათა ჯგუფიდან, რაც მოცემულია საინფორმაციო-სამედიცინო სამსახურის გვერდზე http://www.mis.ge/.

ვინაიდან, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სასაქონლო ნიშნების მსგავსების დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას, აპელანტს მიაჩნია, რომ სასაქონლო ნიშნების ,,LANCEPACT" და ,,ЛАНЦЕРОЛ" ერთმანეთთან აღრევა შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ სამედიცინო პრეპარატების შეძენისას მომხმარებელი განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით ეკიდება მათი დასახელებისა და წარმომავლობის სიზუსტის დაცვას.

გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ნაკლებად სავარაუდოა მომხმარებელს აერიოს გერმანული და უკრაინული წარმომავლობის პრეპარატები.

აპელანტი, მაგალითის სახით, იშველიებს ასევე საქპატენტის არსებულ პრაქტიკას და განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც თანაარსებობენ სასაქონლო ნიშნები - ,,ლანზედინი Lanzedin Ланзедин", ,,ლანსოლი Lansol Лансол" და ,,ლანტოროლი Lantorol Ланторол", შესაძლებელია რომ დაცვა მიენიჭის სასაქონლო ნიშანს ,,LANCEPACT".

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 4 აგვისტოს N2196/03 ბრძანება და

საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,LANCEPACT“ (საიდ. N73784/03 IR1172234) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №165-03/14) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,LANCEPACT“ (საიდ. N73784/03 IR1172234) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ЛАНЦЕРОЛ" (რეგ. N810246, რეგ. და გავრცელების თარიღი 20/08/2003წ.) არ არის აღრევამდე მსგავსი. დაპისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს როგორც ვიზუალური, ასევე ფონეტიკური განსხვავება.

სააპელაციო პალატის კოლეგიის აზრით, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის ვიზუალურ განსხვავებას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ის გარემოება, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური შრიფტით, მაშინ როდესაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია კირილიცაზე. შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ეს ორი ნიშანი მოახდენს მომხმარებელზე არ იქნება მსგავსი.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება ფონეტიკურად. განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის როგორც ,,ლანსეპაქტი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი,

როგორც - ,,ლანცეროლი“. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს საერთო აქვთ მხოლოდ პირველი სამი ასო - ,,ლან“, რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მეორე ბგერას, ის შეიძლება წაკითხულ იქნას როგორც ,,ცე“, ან ,,სე“, განსხვავებულია ასევე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ბოლო ორი ბგერა - ,,როლი“ და ,,პაქტი“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის ,,LANCEPACT“ (საიდ. N73784/03, IR1172234) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,ტაკედა ფარმასიუტიკალ კომპანი ლიმიტედ“ (Takeda Pharmaceutical Company Limited) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №165-03/14) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 4 აგვისტოს N2196/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,LANCEPACT“ (საიდ. N73784/03 IR1172234) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ქ. კილაძე

ს. ებრალიძე